საქართველო
შ.პ.ს. „სატურნი 2006“
მის. გარდაბნის რ-ნი, სოფ. ვაზიანი
საიდ. კოდი: 226572456
ტელ: 595 22 88 22
599 18 40 57

GEORGIA
LTD "SATURNI 2006"
add: Vaziani/ Gardabani District
Tel: 595 22 88 22
599 18 40 57

№ 6 „22“ აპრილ 2019 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. „სატურნი 2006''-ის ნავთობპროდუქტების საცავი განთავსებულია მის საკუთრებაში არსებულ გარდაბის რაიონის ს. ვაზიანში მდებარე 10917.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.10.28.295). საწარმო ფუნქციონირებს 2007 წლიდან და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, შ.პ.ს. „სატურნი 2006''-ის ნავთობპროდუქტების საცავის (მაქსიმალური ტევადობით-2400მ^3) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე, გაცემულია 2007 წლის 3 აგვისტოს №23 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და 2007 წლის 9 აგვისტოს №00083 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

შ.პ.ს. „სატურნი 2006''-ის მიერ დაგეგმილი ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტის შესაბამისად ნავთობპროდუქტების საცავის მაქსიმალური ტევადობა შეადგენს 10000 მ^3-ს .

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართის 29-ე პუნქტის თანახმად "1000 მ^3 ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლოატაცია" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად "გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, გარდაბის რაიონის ს. ვაზიანში მდებარე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №81.10.28.295) შ.პ.ს. „სატურნი 2006“-ის

5907
22.04.2019
2 ფ.

ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. შ.პ.ს. „სატურნი 2006"-ს ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში;

2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

შ.პ.ს „სატურნი 2006"
დირექტორი მარინა ხუნდაძე